ARS GEORGICA

РАЗЫСКАНИЯ ИНСТИТУТА ИСТОРИИ
ГРУЗИНСКОГО ИСКУССТВА

СЕРИЯ А — ДРЕВНЕЕ ИСКУССТВО

7

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1971

ქართული ხელოვნება

ქართული ხელოვნების ისტორიის
ინსტიტუტის შრომები

სერია A — ძველი ხელოვნება

7

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1971

7 (ᲒᲔ 41) (09)
7-(47.922) (09)
Გ 279

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ:

გ. ჩუბინაშვილი (რედაქტორი), ს. ბარნაველი, ვ. ბერიძე, ვ. ცინცაძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Г. Н. Чубинашвили (редактор), С. В. Барнавели, В. В. Беридзе, В. Г. Цинцадзе

რენე შმერლინგის ხსოვნას

1967 წლის 18 თებერვალს გარდაიცვალა რენე ოსკარის ასული შმერლინგი — ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი — ქართული ხელოვნების თავდადებული და ერთგული მკვლევარი.

რენე შმერლინგი დაიბადა თბილისში. დედ-მამა თბილისის მკვიდრნი იყვნენ. მამა — ოსკარ ივანეს ძე შმერლინგი -საქართველოში კარგად ცნობილი მხატვარი და პედაგოგი, კარიკატურისტად მუშაობდა ქართულ პრესაში და ხშირად გამოფენებზეც ნახავდით მის სურათებს; დედა დიდი ხნის მანძილზე პედაგოგი იყო.

1918 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, რენე შმერლინგი შედის ფერწერისა და ქანდაკების სასწავლებელში. სადაც მან მამის ხელმძღვანელობით მეტად მკაცრი სკოლა გაიარა; ამავე დროს რენე შმერლინგი დეკორატორის თანაშემწედ მუშაობდა ქართული დრამის თეატრში; აქ მისი ხელმძღვანელი იყო მეტად მომთხოვნი კოტე მარჯანიშვილი. მას — როგორც დიდ მხატვარს — მუდამ დიდი ალტაცებით იგონებდა იგი. ამავე ხანებში რენე შმერლინგი სავსებით დაეუფლა ბავშვობის წლებიდანვე ნაცნობ ენებს — ფრანგულსა და გერმანულს, აგრეთვე ინგლისურს.

1922 წლის მაისში, როდესაც საქართველოში შეიქმნა სამხატვრო აკადემია, რენე შმერლინგი შედის გრაფიკისა და ფერწერის ფაკულტეტის პირველ კურსზე: აქვე ისმენს აგრეთვე ძირითად საგნებს არქიტექტურის ფაკულტეტზე. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა იგი ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების ისტორიის საკითხების მიმართ, ხოლო სამხატვრო აკადემიაში სწავლების ბოლო წლებში შტატგარეშე მუშაობდა ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმში, რომელიც უნივერსიტეტში არსებობდა ხელოვნებათმცოდნეობითს კაბინეტთან.

1929 წელს, აკადემიის დამთავრების შემდეგ, რენე შმერლინგი მუშაობას იწყებს მხატვრად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ეთნოგრაფიის განყოფილებაში, რომელიც იმხანად თავის პირველ დიდ ექსპოზიციას ამზადებდა.

მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის ხელოვნებათმეცნიერების კაბინეტთან არსებული ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი საქართველოს მუზეუმს შეუერთდა, როგორც მისი განყოფილება, რენე შმერლინგი ამ განყოფილების მეცნიერი თანაშრომელია, ხოლო როდესაც 1934 წელს ეს განყოფილება გამოეყო საქართველოს მუზეუმს და ხელოვნების მუზეუმის „მ ე ტ ე ხ ი ს" ძირითად განყოფილებად გარდაიქმნა, რენე შმერლინგი მექანიკურად ჩაირიცხა ამ მუზეუმის შტატში, სადაც იგი 1941 წლის 1 აპრილამდე მუშაობდა.

ჯერ კიდევ ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმში რენე შმერლინგმა დაამუშავა მუზეუმის ექსპოზიციის მთელი მასალა, რაც კი ქართული ჰედურობის ძეგლებზე არსებული ძვირფასი თვლის ბუდეებთან იყო დაკავშირებული; ინტერესი ამ მიმართულებით მას აღუძრა ფრანგი მკვლევარის, ჟაკელი-

ნა ზელიგმანის სტატიამ, რომელიც კაროლინგური ეპოქის თვლის ბუდეებს შეეხებოდა. ეს ნაშრომი რენე შმერლინგმა უკვე ხელოვნების მუზეუმში დაასრულა (გამოქვეყნდა 1933—34 წლებში), დაურთო რა ნიმუშების ორი ტაბულა ოსტატურად შესრულებული საკუთარი ნახატებით. ხოლო როცა 1931 წელს მთავრობის განკარგულებით ჩხოროწყუს მახლობლად მიწის ხვნის დროს შემთხვევით აღმოჩენილი ოქროს ჭურჭელი საქართველოს მუზეუმს გადაეცა, XVI საუკუნის ამ ბრწყინვალე ნაწარმოების მეცნიერული დაშუშავება რენე შმერლინგს დაეკალა. მან დააზუსტა ამ ძეგლის ისტორიული ადგილი XVI საუკუნის კახური ხატების ჯგუფში. ამ ნაშრომსაც, რომელიც მხოლოდ 1942 წელს დაიბეჭდა, თან ახლავს, გარდა ფოტოდოკუმენტაციისა, სათანადო ნახატები 30-იანი წლების შუახანებში კი მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა რენე შმერლინგს დააკალა მოემზადებინა შესავალი ტექსტი და ანოტაციები ქართულ ხელნაწერთა მორთულობის 32 ტაბულისათვის. ეს ტაბულები ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე დაიბეჭდა პრასკოვია უვაროვას — როგორც არქეოლოგიური საზოგადოების წარმომადგენლის — განკარგულებით. საქართველოს მუზეუმს კი ეს მასალა ცენტრალური სახელმწიფო სარესტავრაციო სახელოსნოების ხელმძღვანელობამ გადმოუგზავნა მოსკოვიდან. ამრიგად, რენე შმერლინგის მრავალი წლის შრომა საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ღირსეულად დაგვირგვინდა ხელნაწერთა მორთულობის ალბომის გამოცემით. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას იმხანად სათავეში ედგა პაელე ინგოროყვა, რომელიც მუდამ დიდი მხარდაჭერითა და დაინტერესებით ეკიდებოდა რენე შმერლინგის ამ საქმიანობას. მასთან ერთად გაწეულ მუშაობას რენე შმერლინგი ყოველთვის დიდი მადლიერებით იგონებდა.

1941 წელს რენე შმერლინგი სამუშაოდ გადადის ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორში, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ჩამოყალიბდა და რომელიც სულ მალე ინსტიტუტად გარდაიქმნა. 1942 წლის 28 დეკემბერს რენე შმერლინგმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: *სამთავრო — XI საუკუნის ძეგლი*. უკვე ამ ადრინდელ ნაშრომებში ნათლად ჩანს რენე შმერლინგის კვლევითი ინტერესების ფართო დიაპაზონი.

ამრიგად, საქართველოს სამხატვრო აკადემიის დამთავრებიდან 2—3 წლის შემდეგ რენე შმერლინგი შეუდგა მეცნიერულ მოღვაწეობას ქართული ხელოვნების ისტორიის სფეროში. მისი, როგორც მხატვრის, შემოქმედებითი ნიჭი და ბრწყინვალე პროფესიული ოსტატობა ბედნიერად ეთავსებოდა მეცნიერულ გამოკვლევებს. 1941 წლიდან რენე შმერლინგის მთელი მოღვაწეობა მთლიანად დაკავშირებულია ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტთან, სადაც იგი მუდამდღე იფართოვებდა და ღრმავებდა თავის მრავალმხრივ ერუდიციას სპეციალური გამოკვლევების კითხვა-დამუშავებით მსოფლიო ხელოვნების ისტორიის დარგში. რენე შმერლინგი იყო ინსტიტუტის არა მარტო ერთერთი წამყვანი წევრი—მკვლევარი, არამედ ახალგაზრდა კადრების მზრუნველი აღმზრდელიც. რენე შმერლინგი თავისუფლად ფლობდა უცხო ენებს—ფრანგულს, გერმანულს, ინგლისურს და ხშირად აცნობდა თანამშრომლებს (ზოგჯერ სრული თარგმანითაც à livre ouvert თუ წერილობით) საზღვარგარეთის მეცნიერთა ცნობილ გამოკვლევებს, რომლებიც ასე თუ ისე უკავშირდებოდა ჩვენი ხელოვნების საკითხებს ამ თარგმანებს ყოველთვის თან ახლდა კრიტიკული შეფასება.

რენე შმერლინგის არქივში ინახება მთელი რიგი თარგმანები, როგორიცაა ბრინკმანის *გამოჩენილ ოსტატთა გვიანი ნაწარმოებები*, ჯობაძის გამოკვლევა მცხეთის ჯვრის სკულპტურის შესახებ და მრავალი

სხვა; აგრეთვე — ასამდე რვეული, რომლებიც ვრცელ გამოკვლევათა კონსპექტებს შეიცავს (დიდი საერთო რვეულები და პატარა წიგნაკები). ნაწილი ამ ნაშრომთაგან მთლიანადაა დაკონსპექტებული, ზოგი მათგანიდან კი ცალკეული ნაკვეთებია გამორჩეული.

რენე შმერლინგის მეცნიერული ინტერესები უაღრესად მრავალმხრივი იყო და ერთნაირად სწვდებოდა როგორც ძველი ქართული ხელოვნების ძეგლებს, ისე საბჭოთა საქართველოს გრაფიკოსთა და მხატვართა ოსტატობას. მისი პირადი ინტერესების წრეში ექცეოდა რუსული, სომხური და აზერბაიჯანული ხელოვნება, აგრეთვე დაღესტნისა და კავკასიის მთიანეთის ხალხური შემოქმედება. რომ აღარაფერი ვთქვათ, რა თქმა უნდა, იმ აღტაცებაზე, რომელსაც მსოფლიო ხელოვნების ძეგლების მიმართ იჩენდა იგი. რენე შმერლინგის საკუთრივ მეცნიერული ნაშრომები არსებითად ეხებოდა ქართულ ხელოვნებას და მასთან დაკავშირებულ (როგორც შესადარებელი მასალა) სხვა ხალხთა ხელოვნებას. ყველა ამ ნაშრომისათვის დამახასიათებელია დასმული საკითხების ღრმა გაშუქება და ფართო ერუდიცია, მხატვრული ანალიზის სიმახვილე და ამა თუ იმ მოვლენის ზუსტი შეფასება ისტორიულ ასპექტში. მისი გამოკვლევები მოიცავს შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების პრობლემებს, ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლებს, ხელნაწერთა დეკორს, დასასრულ, პლასტიკასა და კედლის მხატვრობას. ინდივიდუალური შემოქმედებისადმი დიდი სიყვარულითა და გულითადობითაა აღბეჭდილი რენე შმერლინგის ცალკეული ნარკვევები, მიძღვნილი ქართული საბჭოთა ხელოვნების ოსტატებისადმი, რომლებთანაც მას სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა.

თავის საკანდიდატო დისერტაციაში, რომელიც მცხეთის სამთავროს ტაძარს მიეძღვნა, რენე შმერლინგმა მოგვცა ძეგლის ღრმა, ყოველმხრივი ანალიზი, დაადგინა მისი აგების თარიღი — XI საუკუნე. შემდგომში მან ასევე დეტალურად შეისწავლა და გამოიკვლია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების სხვა მთელი რიგი ძეგლები, განსაზღვრა მათი ადგილი ქართული არქიტექტურის ისტორიულ ევოლუციაში (ხცისი, დაბა, იკვი, დარკვეთი, თეთრი წყარო, გიგოს-საყდარი, დათუნაა ეკლესია დაღესტანში და სხვ.). რენე შმერლინგი შეუდარებელი იყო ქართული ხუროთმოძღვრულ დეკორის შესწავლის საქმეში. ქართული ხელოვნების ამ უბანს მან არაერთი აღფრთოვანებული სტრიქონი მიუძღვნა ამიტომ იყო, რომ, როცა დღის წესრიგში დადგა ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის ნიმუშების გამოცემა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა არქიტექტურის საქმეთა სამმართველომ სწორედ რენე შმერლინგს დააკისრა მასალის შერჩევა, ტექსტის შედგენა, აგრეთვე ტაბულების დამზადება. ეს ნაშრომი ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1954 წელს. ხელოვნების ამ დარგში რენე შმერლინგის პირველი შემაჯამებელი გამოკვლევაა სადოქტორო დისერტაცია ხ უ რ ო თ მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ი ს მ ცი რ ე ფ ო რ მ ე ბ ი შ უ ა ს ა უ კ უ ნ ე თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი. ამ ნაშრომში სპეციალურად კანკელებია განხილული, განვითარების მთელ ისტორიულ მანძილზე, IV—V საუკუნეებიდან ვიდრე XVIII საუკუნის ჩათვლით, საქართველოში შემონახული მთელი მათი მრავალფეროვნებით; შესადარებლად მოშველიებულია მთელი ქრისტიანული აღმოსავლეთის კანკელები.

გამოსაცემად მზადაა რენე შმერლინგის ვრცელი გამოკვლევა XII—XIII საუკუნეების მიჯნის ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების შესახებ. აქ წარმოდგენილია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი ბრწყინვალე ნიმუშები, როგორიცაა ბეთანია, ფიტარეთი, ქვათახევი და სხვ.

დიდია რენე შმერლინგის დამსახურება ძველი ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრული მორთულობის შესწავლის საქმეში. ჯერ კიდევ 1940 წელს,

როგორც ზემოთ ითქვა, მისი შესავალი ტექსტით და ანოტაციებით (ტაბულებისათვის), სრული ბიბლიოგრაფიით გამოქვეყნდა დიდი ალბომი — ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები. მართალია, ტაბულების შერჩევა ალბომში რამდენადმე შემთხვევითია, მაგრამ ამ მასალამ საშუალება მისცა მკვლევარს ძალზე მოკლედ გადმოეცა განვითარების მთელი გზა IX—XVII საუკუნეების მანძილზე, ეჩვენებინა დეკორის განვითარების ძირითადი ეტაპები და საქართველოს ურთიერთობა ხელოვნების ამ დარგში ქრისტიანულ აღმოსავლეთთან და ბიზანტიასთან, ირანთან და სომხეთთან, რუსეთთან და დასავლეთის ევროპასთან, გამოეაშკარავებინა ძეგლის ინდივიდუალური თავისებურებანი (ეს დეტალურადაა აღნიშნული შენიშვნებში, რომლებიც ცალკეულ ტაბულებს ახლავს). წიგნის ტექსტი შემკულია ქართული ხელნაწერებიდან ამოკრეფილი ნახატებით (თავსართი, ინიციალები, ორნამენტული მოჩარჩოება და სხვა), რომელიც რენე შმერლინგის მიერ არის შესრულებული მისთვის ჩვეული სიყვარულითა და დახვეწილობით.

უკვე სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა რენე შმერლინგის ორტომეული მონოგრაფიის — ქართული ხელნაწერი წიგნის გაფორმება IX—XI საუკუნეებში — I ტომი, რომელშიაც დიდძალი მასალის ანალიზის შედეგად გადაშლილია ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორის განვითარების ვრცელი სურათი საუკუნეების მანძილზე, VII საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XI საუკუნის ჩათვლით. მთელი რიგი საკითხები ავტორს დაწვრილებითა და დიდი გულისყურით აქვს განხილული: დამწერლობისა და მისი მასალის განვითარება, ინიციალები, თავსართი და ბოლოსართი, სატიტულო ფურცელი, ოთხთავის სპეციალური მორთულობა კამარებით, ევსებიოსის ეპისტოლეთი, მახარებელთა პორტრეტებითა და მინიატურებით. ქართული მასალა შედარებულია ბიზანტიურ, სომხურ, სირიულ, კოპტურ ნიმუშებთან; რაც მთავარია, გამოყენებულია ორიგინალები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მუზეუმებშია თავმოყრილი და არა მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილი ძეგლები, რადგან არსებული ლიტერატურა წვრილმან თავისებურებათა უმეტესობას საერთოდ არ ეხება. გათვალისწინებულია დასავლური ხელნაწერების მასალაც. მონოგრაფიის II ტომი, რომელიც სულ მოკლე ხანში უნდა გამოვიდეს, შეიცავს IX, X და XI საუკუნეების ცალკეულ ხელნაწერთა დეტალურ ანალიზს; იგი უხვად არის ილუსტრირებული ფოტოსურათებით და ავტორის მიერ შესრულებული ნახატებით.

შეიძლება ითქვას, რომ თავისი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის მთელ მანძილზე რენე შმერლინგი შეუწყვეტლივ ემსახურებოდა ქართულ ხელნაწერთა შესწავლის საქმეს. გარდა სესიებზე მრავალჯერ წაკითხული სპეციალური მოხსენებებისა, რომლებიც მუდამ ცხოველ კამათს იწვევდა, მან დაგვიტოვა დიდძალი გაანალიზებული მასალა სხვადასხვა ეპოქის ხელნაწერთა შესახებ (XII—XIV სს., XV—XVII სს. და XVIII საუკუნისაც კი).

ქართული ოქრომჭედლობისადმი რენე შმერლინგი მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებასა და ინტერესს იჩენდა, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული, როცა იგი ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმში ეცნობოდა ჰედეროჩის ნიმუშებს, შემდეგ 1931 წელს, როდესაც იგი საქართველოს მუზეუმის ექსპედიციას ახლდა ზემო სვანეთში, დასასრულ, მომდევნო წლებში, სვანეთში არაერთგზისი ექსპედიციების დროს. უკვე პირველივე მისი ნაშრომები ხელოვნების ამ დარგში (ზემონახსენები სტატიები თვლის ბუდეების შესახებ და ჩხოროწყუს ოქროს ჭურჭლის შესახებ) ნათლად მოწმობენ, რამდენად ღრმად იცნობს ავტორი მასალას, რა მარჯვედაა შერჩეული წამოყენებული თარიღისათვის მოზიდული პარალელები. ამასვე გვიდასტურებს რენე შმერლინგის მიერ უფრო მოგვიანებით შესრულებული ნაშრომები ამავე დარგში.

50-იან წლებში რენე შმერლინგმა ხელი მოჰკიდა ქართული სკულპტურის ცალკეულ ნაწარმოებთა, ხოლო შემდეგ კედლის მხატვრობის ძეგლთა შესწავლის საქმეს. მისი მახვილი მეცნიერული ალღო უმალვე გამოიჩენდა როდესაც შიომღვიმეში მონასტრის ზედამხედველმა, ხარლამპი ღლონტმა, მრგვალი სკულპტურული გამოსახულებებით შემკული სვეტის ფრაგმენტი აღმოაჩინა. რენე შმერლინგმა ზუსტად განსაზღვრა სვეტის თარიღი და მაშინვე მოხსენებაც მიუძღვნა მას, შემდეგ კი გამოაქვეყნა სრული გამოკვლევა ამ იშვიათი ძეგლის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რენე შმერლინგმა მარმარილოს ხატს წმ. გიორგის გამოსახულებით სოფ. ვანიდან. მიუხედავად იმისა, რომ ეს სკულპტურული რელიეფი რამდენადმე უცნაური და უჩვეულო ჩანს, მკვლევარი შეეცადა ზუსტად განესაზღვრა მისი ადგილი ქართული ხელოვნების განვითარებაში. საერთოდ რელიეფებს დიდი ადგილი აქვს განკუთვნილი რენე შმერლინგის ცალკეულ ნაშრომებში და აგრეთვე მის ერცელ მონოგრაფიაში კანკელების შესახებ.

რენე შმერლინგის გამოკვლევები, რომლებიც კედლის მხატვრობას ეხება, სესიებზე და ინსტიტუტში წაკითხული მოხსენებების ფარგლებს არ სცილდება, თითქმის არც ერთი მათგანი არ დაბეჭდილა. მაგრამ ამ ნაშრომებში აღსრულია კარდინალური, არსებითი საკითხი ადრეული ხანის კედლის მხატვრობისა და მისი განსაკუთრებული ხასიათის შესახებ VIII—IX საუკუნეებსა და X საუკუნის დასაწყისში.

რენე შმერლინგი ხშირი სტუმარი იყო ყველა იმ გამოფენისა, რომელიც დროდადრო ეწყობოდა თბილისში; როგორც ითქვა, მან სპეციალური ნარკვევებიც მიუძღვნა საბჭოთა საქართველოს ცნობილ მხატვართა — ელენე ახვლედიანის, იოსებ გაბაშვილის, ზაქარია მაისურაძის — შემოქმედებას; სამწუხაროდ, მას დაუმთავრებელი დარჩა გამოკვლევები პეტრე ბლიოტკინის შემოქმედების შესახებ და იმ ოთხი გრაფიკოსის შესახებ, რომლებიც თავიანთ ოსტატობას ხვეწდნენ თბილისში ევაკუაციაში მყოფ ცნობილ მოსკოველ გრაფიკოსთან ივანე პაველოვთან. ამას გარდა, რენე შმერლინგმა მთელი რიგი ნარკვევები მიუძღვნა გამოჩენილ პოლონელ მხატვარს — სიგიზმუნდ ვალიშევსკის, რომელმაც თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა საქართველოში დაიწყო და რომელთანაც ჩვენს მკვლევარს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბავშვობიდან მოყოლებული, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე.

რენე შმერლინგი მუდამ დიდ ყურადღებას უთმობდა მეცნიერულ მონაპოვართა თუ ხელოვნებისა ნაწარმოებთა პოპულარიზაციას. იგი იყო ავტორი ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა გზამკვლევებისა, არა ერთხელ გამოსულა მოხსენებებით თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქებში, საბჭოთა კავშირის მსხვილ სამეცნიერო ცენტრებში და მას მუდამ ღირსეულად წარმოუჩენია ქართული ხელოვნებათმეცნიერება; სადმე სოფლად იქნებოდა ეს თუ მთიანი სვანეთის რაიონებში, იგი მუდამ დიდი გატაცებით ესაუბრებოდა ადგილობრივ მოსახლეებს თუ ჩამოსულ ტურისტებს ძველი ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოების თავისებურებათა და მისი მხატვრული ღირებულების შესახებ. რენე შმერლინგი მუდამ დიდი ხალისითა და სიყვარულით ეხმარებოდა ახალგაზრდობას, დამწყებ მეცნიერებს, კონსულტაციას უწევდა მუზეუმებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს საქართველოში და მის საზღვრებს გარეთაც. იგი კარგად იცნობდა საქართველოს, უყვარდა მისი მდიდარი ბუნება და მრავალსაუკუნოვანი კულტურა.

რენე შმერლინგი იყო დიდად ნიჭიერი, დაუღალავი, თავდადებული მკვლევარი და მოღვაწე, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ქართული ხელოვნების მეცნიერული შესწავლის საქმეში. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ჩვენი მეცნიერებისათვის.

გიორგი ჩუბინაშვილი.